



**EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 12 - 18 თებერვალი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რაოდენობრივი კვლევა

2010 წლის 12-დან 18 თებერვლის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 3 ფაქტია მოკვლეული. ამ 3 ფაქტიდან 2 ნეგატიური გაშუქების მაგალითია, 1 კი ნეიტრალური.

მოკვლეული 3 ფაქტიდან სამივე ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა. როგორც ზევით აღინიშნა 2 ნეგატიური და 1 ნეიტრალური გაშუქება იყო.

საანალიზო პერიოდში ეთნიკური უმცირესობები გააშუქა სამმა გაზეთმა სამ სტატიაში. ეთნიკური უმცირესობები არ გაუშუქებია არც ერთ არხს. ასევე ტელევიზიით არ გასულა არც ერთი სიუჟეტი რელიგიურ უმცირესობებზე მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამ მონიტორინგის ქვეშ მყოფი ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 28 შეადგინა.

საანალიზო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციული გაშუქების ფაქტი მოკვლეული იქნა გაზეთებში „ჯორჯიან ტაიმსი“ და „გურია ნიუსი“.

უნდა აღინიშნოს, რომ 12-დან 18 თებერვალს, წინა პერიოდებთან შედარებით, უმცირესობები ძალზე ცოტა ფაქტი იქნა მოკვლეული მონიტორინგის ქვეშ მყოფ მედიასაშუალებებში.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით

1. გაზეთ „ჯორჯიან ტაიმსში“ (№06 (572), 18-25 თებერვალი) დაბეჭდილ ინტერვიუში, რომლის ვრცელი სახელწოდებაცაა „რატომ არის შევარდნაძე უხსენებელი. კახა ლომია კი მასონი? ვინ არის ჩვენი თანამემამულე, რომელსაც მასონთა ლოჟის “მაგისტერიუმის” ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევენ და ცივ ნიავს არ აკარებენ?“ უხეშად ირღვევა დისკრიმინაციის დაუშვებლობის პროფესიული სტანდარტი. ამ ინტერვიუში დისკრიმინაციულად არის მოხსენიებული საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ეთნიკური უმცირესობა. ეთნიკური უმცირესობები აქ წარმოდგენილები არიან როგორც საქართველოს მეორეხარისხოვანი მოქალაქეები, უუფლებო ადამიანები, რომლებსაც საქართველოს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველებთან თანასწორი მონაწილეობის უფლება არა აქვთ. მართალია, დისკრიმინაციული გამონათქვამები რესპონდენტს ეკუთვნის, მაგრამ ჟურნალისტი, რომელიც ინტერვიუს იღებს, არ ცდილობს ოპონირება გაუწიოს რესპონდენტს და გამოხატოს თავისი და შესაბამისად, რედაქციის პოზიცია ასეთი დისკრიმინაციული გამონათქვამების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტიცა და გაზეთის რედაქციაც იზიარებენ ასეთ დისკრიმინაციულ და ქსენოფობიურ გამონათქვამებსა თუ მოსაზრებებს. გთავაზობთ ამონარიდებს ამ ინტერვიუდან:

“ზოგი ფიქრობს, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოვა ხელისუფლებაში –სააკიანი, კეზერაშვილი, შაშკინი, პოლოლიკაშვილი, ბაღდასაროვი თუ იაკობაშვილი, მმართველობაა მთავარი. ისემა ამ დამოკიდებულების მქონეთა აუშენდათ ოჯახი.

რა ვთქვა “სააკიანზე?” განათლების მინისტრი ვერ მოძებნა საქართველოში და შაშკინი დაგვასვა თავზე.

საქართველოს სომხური და ებრაული წარმოშობის ხალხი მართავს.

ებრაელების წესია მილიონების შოვნა, ასე “შეიტყაპუნა” ხალხის ნაამაგარი შევარდნაძემ და მისმა მემკვიდრეებმა“.

ასეთი გამონათქვამები შეურაცხყოფად აღიქმება საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიერ.

2. ეთნიკური უმცირესობების ნეიტრალური გაშუქების ფაქტია გაზეთ „კვირის პალიტრის“ (№7 (811); 15-21 თებერვალი) სტატია „ქართველები ოსურ ლიტერატურაში“.

“ამას წინათ რადიო “პალიტრისთვის” გადაცემას გამზადდები ოსეთის ისტორიის შესახებ და ინტერნეტში მასალების მოძიების დროს მე-19 საუკუნის ოსი მწერლის, ოსური ლიტერატურის კლასიკოსის, ოსური პროზის ფუძემდებლის, სეკა გადიევის ერთ-ერთ მოთხრობას წავაწყდი. ამ მოთხრობის შინაარსმა იმდენად შემზარა, რომ გადავწყვიტე, თქვენც გაგაცნოთ, რათა ნახოთ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში როგორ ასახავდნენ ქართველებს ოსურ ლიტერატურაში. ნაწარმოებში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ქართველი მოურავი ოსურ სოფელს დაიპყრობს და ტირანიას დაამყარებს. გადიევი წერს, რომ ქართველი მოურავის არა მხოლოდ ადამიანებს, ცხოველებსაც კი ემინოდათ. მოთხრობაში ოსური ოჯახის ტრაგედიაა გადმოცემული. დიდხანს არ ჰყავდათ შვილი, ბოლოს, როდესაც გაუჩნდათ, ქართველი მოურავი დედას აიძულებს ძუძუ შვილის მაგივრად თავისი ძაღლის ლეკვს მოაწოვოს. იმითუკმაყოფილო მოურავი, რომ ლეკვი დასუსტდა, დედას ბავშვს ხელიდან გამოჰკლევჯს და მასვე შემოჰკრავს. ბავშვი იღუპება. თუმცა ოჯახის ტრაგედია ამით არ სრულდება. დედა ჩვილს საკუთარი ხელით დამარხავს და ლეკვისთვის ძუძუს მოწოვებას გააგრძელებს. ერთხელაც წამოზრდილი ლეკვი ქალს ძუძუზე უკბენს, მას სისხლი მოეწამლება და დაიღუპება, ქმარი კი ამდენ უბედურებას ვეღარ უძლებს და გაგიჟდება. ეჩვენება, რომ ქართველი მოურავი სულ უკან დასდევს. ბოლოს ისიც დაიღუპება...”

მოკლედ, სეკა გადიევის შემოქმედების დიდი ნაწილი ქართველი დამპყრობლების წინააღმდეგ ოსი ხალხის გმირულ ბრძოლას ეძღვნება.

როდესაც ამ მოთხრობის შინაარსი ინტერნეტში ერთ-ერთ სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნე, ქალბატონი მაია ცაბოშვილი გამომეხმაურა. მომწერა: “ეს, მიხეილ ჯავახიშვილმა რომ დაამკვიდრა ჯაყოს სახე ქართულ ლიტერატურაში, იმის ანალოგიურია. ამ დროს ორივე სცოდავს. დღეს ერთ-ერთ ფორუმზე წავიკითხე, რომ თურმე ყველა ოსი, მათ შორის მეც, ჩამოთესლებულნი, ტილებითა და რწყილებით სავსე, უზნეობი და სხვა ათასი ეპითეტით შემკული საცოდავი არსებები ვართ, ვინც უმოწყალოდ უნდა გაანადგურო”. კომენტარი მკითხველისთვის მიმიღვია”.



თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.